შპს ტელეკომპანია ,,დია“
ქ. გორი ბაგრატიონის ქ. №46
**e-mail.** telecompanydia@gmail.com

Ltd. TV Company ,,DIA”
GORI bagrationi St. N46
**Tel. 0 (370) 22 60 68**
**+995 599 44 45 13**

---

წერილი № 6

06 მარტი 2017 წელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ
კომისიას

თქვენი 2017 წლის 23 თებერვლის #16/528-17 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 01 აგვისტოდან 2017 წლის 1 მარტამდე შ.პ.ს. ტელეკომპანია დია-ს, ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმაში არსებულ თავისუფალ რესურსზე დაშვების მსურველ ავტორიზებულ მაუწყებელს განცხადებით არ მოუმართავს, აქედან გამომდინარე დღეის მდგომარეობით ტელეკომპანია დია, რომელიმე ავტორიზებული მაუწყებლის საკუთარ მულტიპლექსით გავრცელებას არ ახორციელებს და მულტიპლექს პლატფორმას გამოიყენებს, მხოლოდ საკუთარი არხის გავრცელებისათვის, რისთვისაც იყენებს (2,5 – 3 მგბ. წამში) იმ შემთხვევაში თუ დარჩენილ თავისუფალ რესურსზე (27 მგბ. წამში) იქნება მოთხოვნა, რომელიმე ავტორიზებული მაუწყებლის მხრიდან კანონის შესაბამისად თავისუფალი რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფთ მაუწყებლის დაშვებას საკუთარი მულტიპლექსით გასავრცელებლად შესაბამისი ტარიფით.

იხ დანართი 1 (მოწვევის ოფერტა)

პატივისცემით

ტელეკომპანია “დია“-ს დირექტორი მ. ტატულაშვილი

დანართი#1

# შ.პ.ს. ტელეკომპანია დია-ს ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

1 მარტი 2017 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ტელეკომპანია დია-ს მულტიპლექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ,,ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში ,,აქცეპტანტი")

ქ. ხაშურის და მის მიმდებარე ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების ,,ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1,1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების

MPEG4 (H-264-ISO/TEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM,

Coding rate: 2/3 cuard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ. წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ. წამისა:

1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ხაშური ზემო სერის მიმდებარე ტერიტორია
1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათალისწინებულ მისამართამდე
1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი(SD/HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. ,,ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:
2.1 ქ. ხაშურის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ–ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 1500 (ერთიათასხუთასი) ლარს (2.15 მგბტ/წმ 3225 ლარი დღგ–ს გარეშე).

3. ,,ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები
3.1 აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თნხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა
4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2017 წლის 01 მარტიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე– 2018 წლის 01 მარტამდე.

მაია ტატულაშვილი
შპს ტელეკომპანია ,,დია"–ს
დირექტორი